ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ბიუროს რიგგარეშე სხდომის

ო ქ მ ი # 0 2

ქ. ონი 04. 04. 2025 წ.

ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს რიგგარეშე სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე ბაჩანა მარკოიშვილი.

საკრებულოს ბიუროს 13 წევრიდან სხდომას ესწრებოდა შვიდი წევრი: ბაჩანა მარკოიშვილი, გიორგი მარკოიშვილი, ვასილ მეტრეველი, სონია გუგეშაშვილი, ვლადიმერ ბერელიძე, სერგო ლობჯანიძე, მამუკა ყავლაშვილი.

არ ესწრებოდნენ: ალავერდ ხვედელიანი, გივი მეტრეველი, ლევან ორდინიძე, თეიმურაზ ცეცაძე, ზურაბ ბენდიანიშვილი, ნოდარ ბურდილაძე.

სხდომას ესწრებოდნენ: სერგო ხიდეშელი-მუნიციპალიტეტის მერი, პაატა მაისურაძე-მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე, ლევან შერაზადიშვილი-მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე, გივი ბენდიანიშვილი-მერიის ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი.
სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1.,, 2025 წელს ონის მუნიციპალიტეტში საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ინფრასტრუქტურული პროექტების მოწონების შესახებ.“

/მომხსენებელი: სერგო ხიდეშელი-მუნიციპალიტეტის მერი

თანამომხს. გივი ბენდიანიშვილი- არქიტექტურის სამსახურის უფროსი/

დღის წესრიგი დადგა კენჭისყრაზე

მომხრე-ყველა, წინააღმდეგი-არცერთი

დამტკიცდა დღის წესრიგი

მოისმინეს: 1. ,,2025 წელს ონის მუნიციპალიტეტში საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ინფრასტრუქტურული პროექტების მოწონების შესახებ.“

/მომხსენებელი: სერგო ხიდეშელი-მუნიციპალიტეტის მერი

თანამომხს. გივი ბენდიანიშვილი- არქიტექტურის სამსახურის უფროსი/

თანამომხსენებელმა სხდომას გააცნო განკარგულების პროექტი ,,2025 წელს ონის მუნიციპალიტეტში საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ინფრასტრუქტურული პროექტების მოწონების შესახებ.“

საკითხი დადგა კენჭისყრაზე

მომხრე ყველა, წინააღმდეგი არცერთი

გადაწყდა: საკითხი შეტანილი იქნეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში განსახილველად.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის ამოწურვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

ბაჩანა მარკოიშვილი

საკრებულოს თავმჯდომარე